

**ქართული მუსიკის
ენციკლოპედიური ლექსიკონი**

ავტორ-მკვლევანები და რედაქტორები:
მ. ლომიძე, ე. ლომიძე, მ. გინია ჯაფარიძე

პროექტის მენეჯერი
მ. ლომიძე

რედაქტორ-კონსულტანტები:
ფოლკლორი, გალობა-საგალობელი - თამაზ ბაბინსონია
ისტრია-ჯაზი - ირინე ეგრალიძე
კინო - მარინე კერესელიძე
ხალეტი - თამარ ძეგვიანი
დისკოგრაფია, ბიბლიოგრაფია - მანა გომიგვილი

ლიტერატურული რედაქტორი
მანანა ტაბიძე

კორექტორები:
ლია სულაქველიძე, მანანა ხუციშვილი

დიზაინი
ნიკოლოზ ადუაშვილი

მადლობას მოვხსენებთ მხარდაჭერისათვის:

ქ-ებს: ნინელი ჭანკვეთაძეს, ლია სხენიაშვილს, ეთერ მგალობლიშვილს, დოდო რუხაძეს, ეთერ ნიკლაურს, ქეთევან გომოლაძეს, თსკ მუზეუმის დირექტორს მარინა ჩიხლაძეს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ხალეტის სახელმწიფო ეროვნული თეატრის მუზეუმის დირექტორს რუსუდან დუშვილს;
ზ-ებს: თამაზ ჯოლოგუას, ვაჟა კიგუას, ელდარ გენაძეს. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს, საქართველოს კინოს, მუსიკის, თეატრისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის დირექტორს ზ-ნ გიორგი კალანდიას; მუზეუმის თანამშრომლებს: ნინო ნასიძეს, თამარ მანისუკაძეს. საქართველოს ეროვნული არქივის დირექტორს თეონა იაშვილს; თანამშრომელს ნათია ბერუაშვილს. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს გიორგი კეკელიძეს; „ციფრული ფოტომატიანე“ თანამშრომლებს.

ფოტოების ნაწილი გამოყენებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და „ჯეოსელი“ ერთობლივი პროექტიდან „ციფრული ფოტომატიანე“.

წიგნი გამოცემა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

© რუსუდან ქუთათელაძე 2015
© მ. გინია ჯაფარიძე 2015

ISBN 978-9941-0-8323-5

„ღონ პასკუალე“, „ლუჩია დი ლამერმური“); ლონგრინი (ვაგ-
ნერი „ლონგრინი“); მონოსტატოსი (მოცარტი „ჯადოსნური
ფლეიტა“); შელი (რახმანინოვი „ძუნწი რაინდი“) და სხვ. **გას-
ტრ:** მალხაზი (ზ. ფალიაშვილი „დაისი“, ლოძი, ვარშავა, 1969;
ოლომოუცი 1976).

დისკოგრაფია: თანდარუხი (ზ. ფალიაშვილი „აბესალომ და ეთერი“ 1971)
«Mediam», 33CM 02831-6.

ლიტ: კრავიცივილი გ. „კოტე ფირცხალავა“ ჟ. „მუსიკა“ 2012 №3.

ფისტიკა/პისტიკა

XI-XII სს. ქართველი პოეტი, ავსტი.

სახელი შეურქმევიათ, რადგან თვალბისტიანი, ანუ ბრმა
ყოფილა. მისი ბიოგრაფია ცნობები თითქმის არაა ცნობილი.
ყოფილა ათვალუნებელი მელექსე, რომელიც სტივისა და
ჭიანურს დასამღერებელ შაირებსა თხზავდა. თეიმურაზ
II (1700-1762) ავადებულად იხსენიებს ლექსში „გაბაასება
რუსთველთან“, სადაც „ბისტიკა ცრუს“ უწოდებს. **ფ-**ს მემ-
კვიდრეობა, მართალია, უკვალოდ არის დაკარგული, მაგრამ
ტრადიც. ცნობებით იგი მიჩნეულია ახ. სალექსო საზომის
- ფისტიკაურის, ლექსის ორმარცვლოვანი საზომის დამამ-
კვიდრებლად. ფისტიკაურში დაცულია გარეგანი რითმა. ეს
საზომი ცნობ. გახდა ფისტიკაურის, (ბისტიკაურის, პისტი-
კაურის) სახელით. ა. შანიძის მოსაზრების თანახმად „ფის-
ტიკაურის“ სალექსო ფორმა არქაულია და მისი შემომტანი
ქართულ მწერლობაში ფისტიკა არ უნდა იყოს.

ლიტ: „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. II თბ., 1966 და სხვ.

ფიფინა//ფიფინი//ფიფინაური//ფიფინური

დაირის სამკაული, ჟღარუნა დაირაზე. 1. ანუ ფიფილი,
დაირის რკალზე შიგნიდან დაკიდული, თუნუქის პატარა
ნაჭრები, უზალთუნის ტოლა. დაკვრის დროს ჟღარუნობს.
2. დაირის ფულები. **ფიფინა** ძველებურად ფულს ნიშნავდა
(საბა). **გრიშამ.** 3. გუდასტივის ნაწილი. **ჩიჯავ.**

ფინსაქე მირა იაკობის ასული

(1925.08.03. ქუთაისი. 1999. თბილისი) - საქართველოში მოღ-
ვაანა ეპარქიული მუსიკისმცოდნე-ისტორიკოსი.



1948 დაამთავრა თსკ, პედაგ. პ. ხუჭუა
(მუს. ისტ.). 1948-52 თბ. №5 მუს. სკოლის
პედაგ. (მუს. ლიტ.). 1952-72 თბ. II მუს.
სასწ. პედაგ. (მუს. ლიტ.). 1950-60 საქ. რა-
დიოს მუს. გადაცემათა რედაქტ. 1959-73
თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის მუს.-
ლიტ. განყ-ის გამგე. ფილარმ. სალიტერა-
ტ. განყ-ის გამგე. 1973-დან სიცოცხ-
ლის ბოლომდე თბილისის თეატრალური

ინსტიტუტის პედაგოგი, დოცენტი (1976). ხელოვნებათმც.
კანდიდ. (1976. დისერტაც. თემა: „ქართული ოპერისათვის სათ-
ავეები“). განსაკ. ნაყოფიერად მოღვაწეობდა ქართ. მუს. კო-
მედის თეატრთან დაკავშ. საქითხებში. **ჯილდოები:** საქ. სსრ
ხელოვნების დამსახ. მოღვაწე (1976). კომპოზ. კავშ. წევრი.
პბლ: ბროშ. „საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახ-
ურებული ანსამბლი“, თბ., 1958; ბროშ. „საქართველოს სახელმწიფო სიმ-
ფონიური ორკესტრი“, თბ., 1958; ბროშ. „საოკარ ბეგრათა სამყაროში“,
თბ., 1962; **წგნ** „ა. შავერზაშვილი“, თბ., 1972; **წგნ** „ოპერეტა, მიუზიკლი“,
თბ., 1982; **წგნ** „ქართული მუსიკალური კომედის თეატრი“, თბ., 1983;
წგნ „ვ. დოლიძე“, თბ., 1991; **წგნ** „Художественный мир С. Цинцадзе“, Тб.

1992. სამეცნ შრ. (5). საგაზ., საჭურბ., წერილ. (რამდენიმე ათეული) მათ
შორის: „ქართული მუსიკის დღევანდელი დღე“ გაზ. „ლიტ. საქ.“ 1971
26.02. «Ярко, динамично...», გაზ. «Заря Вост.» 1972.26.12; «Легко,свободно,
профессионально», გაზ. «Веч. Тб.» 1972.18.01; «Поэт Зара Долуханова»,
გაზ. «Заря Вост.» 1972.06.05; «Теоретический успех коллектива», გაზ. Веч. Тб.»
1972.14.07; «Звучит симфония Шостаковича», გაზ. «Веч. Тб.» 1972.19.12;
„სახიზარულო შეხვედრა“, ჟ. „საბჭულ.“ 1972 №8; «В программе
Моцарта», გაზ. «Веч. Тб.» 1973.15.05; «12 романтических пьес», გაზ. «Веч. Тб.»
1973.04.08; «Ансамбль энтузиастов», გაზ. «Веч. Тб.» 1973.12.10; „ვერდის
რეკვიემის ახალი სიცოცხლე“, გაზ. „კომუნ.“ 1973.14.12; «На оперной
сцене премьер», გაზ. «Веч. Тб.» 1974.08.05; «Дон Жуан» на концертной
сцене», გაზ. «Заря Вост.» 1974.16.04; «Герои Перголези на тбилисской сцене»,
გაზ. «Веч. Тб.» 1974.24.07; «Высокое исполнительское искусство», გაზ. «Веч.
Тб.» 1974.09.10; «Грузинская эстрада сегодня», გაზ. «Веч. Тб.» 1975.09.01;
«Фиделио» в концертном исполнении», გაზ. «Веч. Тб.» 1975.23.04 და სხვ.

ლიტ: Какулия П., Чконია С. «Композиторы и музыковеды Грузии», Тб. 1984;
ქუთათელაძე რ. „პროფესიის ერთგული, მოყვასის კეთილმოსურნე“,
გაზ. „მუსიკა“, 2000 №3.

ფოლკლორი ქართული მუსიკალური

ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება, ქართული
ტრადიციული მუსიკის ნაწილი, რომელიც ზეპირი გადმოცე-
მის მუს. შემოქმედებას მოიცავს. მისი მთავარი მახასიათე-
ბლებია: ქართული ეთნიკური სტილი, ხალხის მიერ ნიმუშე-
ბის სხვადასხ. ვარიანტით შემოქმედებითად გაზიარება და
ზეპირი გადაცემის სახით თაობათა შორის მემკვიდრეობი-
თობა. **ქ.მ.ფ.** ძირითადად ორი ძირითადი სტილური მიმარ-
თულებითაა წარმოდგენილი: ქართული სოფლური ხალხური
და ქართული ქალაქური ხალხური მუს. **ქ.მ.ფ.** ყველა სოციალ-
ურ ფენასა და ჯგუფში მოქმედებს. იგი ძირითადად დროში
განგრძობილ კოლექტიურ ავტორობას გულისხმობს, თუმ-
ცა, ქართული სამუსიკისმცოდნეო ტრადიციით, მასში იგ-
ულისხმება როგორც ზოგადხალხური, ასევე - პროფესიული
(მაგ. მესტიერები) და ნახევრადპროფესიული (მაგ. დამ-
ტირებლები) შემსრულებლობაც. **ქ.მ.ფ.**, უმეტესად კი მისი
სოფლური შტო, მსოფლიო ხალხური მუსიკის მემკვიდრეო-
ბის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოვლენაა, რაც განპირობებუ-
ლია ვოკალური მრავალხმიანობის განვითარების მაღალი
დონით, მწყობრი ჰარმონიულ-მოდულაციური და კომპოზი-
ციური სტრუქტურით, სტილური მრავალფეროვნებით.
ისტორიული ცნობები **ქ.მ.ფ.**-ის შესახებ საკმაოდ მწირია.
უძველესი ქართ. საკრავი, რომელიც მეცხეთაში არქეოლო-
გიური გათხრების შედეგადაა აღმოჩენილი გედის ძვლის
სამთვლიანი სალამურია (ძვ. წ.ალ. XV-XIII სს.). ბერძენი ის-
ტორიკოსი ქსენოფონტე (ძვ.წ.V-IVსს.) თავის ნაშრომში
„ანაბასისი“, იხსენიებს ქართველური ტომის - მოსინიკების
საბრძოლო სიმღერებს; „ქართლის ცხოვრებაში“ დადას-
ტურებულია სამგლოვიარო ჟანრი („მგოსანი გლოვისანი“
- ახ. წ-ალ. II საუკ.). XI-XII სს. წყაროებში მოიხსენიება სალხ-
ინო სიმღერები, სხვადასხ. ჟანრის მომღერლები, მრავალი
საკრავი და სასიმღერო ხმათა დასახელებები (შოთა რუს-
თაველის და სხვ. მწერალ-პოეტთა შემოქმ.-ში, მემატიანეთა
ცნობებში), მათ შორის სამხმთანობის აღმნიშვნელი „მზახრ,
ჟირ და ბამ“ (იოანე პეტრიწი - XI-XII სს.). ცალკეული ცნობები
ფერხულეების, ზარის და სხვ. ჟანრის მუსიკის შესახებ აღწ-
ერილია XIV, XVII-XIX სს. წყაროებში.

ქ.მ.ფ. მუღავნდება იმგვარ ჟანრებში, რომლებიც მჭიდროდაა
დაკავშ. სოციალურ ყოფასთან. საქ.-ში გავრცელებუ-
ლია შემდეგი ხალხ. მუს. ჟანრები: საკულტო სადიდებელი

(საეკლესიო საგალობელი, საერო ქრისტიანული სიმღერა, სინკრეტული საკულტო სადიდებელი), საკულტო-სავედრებელი (ამინდის მართვის, საძებრო, სამკურნალო, შელოცვა), აკენის, შრომის (მინის დამუშავების, მოსავლის აღების, მწყემსური, სიმძიმის გადატანის, სახელსაქმო, გათვლა), საქორწინლო (მაცრული, საქორწინლო-სუფრული), სუფრული (საკულტო-სუფრული, საქორწინლო-სუფრული, საღალღობო-სუფრული), სამგლოვიარო (ზარი, დატირება, მოსაგონარი), საღალღობო (მგზავრული, სახუმარო, საცეკვაო, შაირი, კაფია, ლილინი, სატრფიალო, შესვენების), ბალადა (საგამირო, სამონადირეო, ისტორიული, ლირიკული), ლირიკული (სატრფიალო, ჩივილის), პატრიოტული (ლაშქრული, საბჭოთა მიძღვნა), ეთიკურ-შეგონებითი, საშეჯიბრო (საჭიდაო, საცეკვაო).

ქ.მ.ფ.-ში განსაკუთრებით განვითარებულია ვოკალური შემოქმედება, საკრავიერი შემოქმედება დიდძალიად ვოკალის თანხლებითაა წარმოდგენილი. ისტორიული, სოციალური სხვა, ნაწილობრივ ჯერ უცნობი პირობებისა და მიზეზთა გამო, მამაკაცთა შემოქმედება უფრო მრავალფეროვანი და მალაღგანვითარებულია, ვიდრე - ქალთა შემოქმედება, რომელიც ძირითადად ძველი საკულტო და ქალთა ყოფის სხვა უნარებითაა წარმოდგენილი. საკმაოდ მწირადაა შემონახული საბავშვო და ბავშვთა შესასრულებელი მუს. ფოლკლორი.

ქ.მ.ფ.-ის ყველაზე ცნობადი თავისებურება ვოკალური მრავალხმიანობაა. ქართ. სიმღერის ძირითადი მასივი სამხმინია, ორხმინი სიმღერები უპირატესად საკულტო და შრომის უნარებშია გამოვლენილი, გვხვდება ოთხხმინიანობაც - გურულ-აჭარულ ნადურ (შრომის) სიმღერებში. სამხმინიანობაში ხმათა ძირითადი დასახელებებია: მთქმელი (უმეტესად - შუა ხმა), მოძახილი (უმეტესად - ზედა ხმა), ბანი (უმეტესად - გუნდური ქვედა ხმა). გამოსარჩევია იოდლის ტიპის ზედა ხმა - „კრემანტული“, რომელიც უმეტესწილად გურულ სიმღერებშია. საქ.-ში გვხვდება მრავალხმიანობის ბურდონული, ოსტინატური, სინქრონული, ხმათა თავისუფალი და პარალელური მოძრაობის ტიპები. საკმაოდ ხშირია ხმათასვლის პრინციპითაა სინთეზური და სპეციფიკურ ხმათა შემცველი ფორმები.

ქ.მ.ფ.-ის კილო-პარმონიული სტრუქტურა გამოირჩევა ორიგინალური ტემპერაციით, რომელშიც ხშირად ვხვდებით ევროპული მაჟორ-მინორის სისტემისგან განსხვავებულ ნეიტრალურ ბერებს, ხშირად - თითქმის თანაბარდაპირებულს ერთმანეთისგან. ქართულ კილოურ ნყოფაში ბგერათა შორის შეინიშნება როგორც ოქტავური, ასევე მონოცენტრული (მონოტონიკალური) ურთიერთობები. ხშირია არატონიკული თანხმოვანებები, გვხვდება მოდალური კილოური აზროვნების გამოვლენები. ქართული სიმღერის მელოდიკა უმეტესწილად ტალღოვანია, ხშირად - დაღმავალი. განსაკ. საინტერესოა საკმაოდ ხშირი მოდალაციები - უმეტესად სეკუნდით და ტერციით ზევით და ქვევით. მეტრული და რიტმული თვალსაზრისით ქართული სიმღერა (და დასაკრავებიც), საკმაოდ სადაა. ქართ. ხალხ. მუს. უმეტესად ორწილადაა. სამწილადაობა, ზოგჯერ კი შედგენილი მეტრი უმეტესად საფერხულო სიმღერებშია გამოვლენილი. აღმოსავლურ სუფრულ და ზოგიერთ ინდივიდუალურ შრომის სიმღერებში ხშირია თავისუფალი მეტრიც. აღსანიშნავია ხუთწილადი მეტრის ნიმუშები აჭარულ „ხორუმში“ და ლაზურ „ხორონში“.

ქ.მ.ფ.-ის სამეომარულბლო თავისებურებებიდან აღსანიშნავია სამხმინიანობის ზედა პარტიების სოლიდებული შესრულება გუნდური ბანის ფონზე. ხშირია ორპირულად (ანტიფონურად), ასევე „მონოდება-პასუხის“ ტიპის (რესპონ-

სორულ) შესრულების ტრადიცია - ძირითადად საფერხულო და შრომის სიმღერებში. აღსანიშნავია დას. საქართველოში, ძირითადად გურიაში ტერცეტის - სამი მომღერლის (ე.წ. „ტრიოს“) მიერ შესრულებული პოლიფონიური საღალღობო სიმღერები, რომლებიც თავიანთი სტრუქტურით განვითარებულ საეკლესიო საგალობლებს ენათესავება. გვხვდება ორი სოლისტის, უმეტესად - ქალ-ვაჟის და გუნდის მონაცვლეობა. ზოგადად, ქალები და მამაკაცები ტრადიციულად უმეტესად ცალ-ცალკე მღერიან, თუმცა დას. საქ.-ს მთის რეგიონებში ხშირია ფერხულის მამაკაცთა და ქალთა ერთობლივი შესრულებაც. ასევე მეგრულ სიმღერებში ხშირია ქალთა ზედა ხმის (ან - შუა და ზედა ხმის) შესრულება მამაკაცთა ანსამბლში.

მრავალფეროვანია **ქ.მ.ფ.**-ის არტიკულაციური თავისებურებები. 16 მუსიკალური დიალექტის სიმღერებს ინდივიდუალური ხასიათი აქვთ, მთის დიალექტებისათვის უფრო დამახასიათებელია დინჯი, ომახიანი შესრულება, გლისანობა; ბარის დიალექტები უმეტესად გამოირჩევა მოქნილი შესრულებით, უფრო მკაფიო ბგერათრიგით. აღმოსავლურ-ქართული სიმღერა უფრო მეტად მელოზმატიკით ხასიათდება, ხოლო დასავლური - მელოდიური ვარიანტით. მთლიანად ქართულ სიმღერის შესრულებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ნილი აქვს იმპროვიზაციას, განსაკ. - გურულ სიმღერაში. იმპროვიზაციის თვალსაზრისით გამოირჩევა კახური გრძელი სუფრული სიმღერებიც.

საქ.-ში გავრცელებული ხალხური საკრავებია: სიმებიანი (ფანდური, ჩონგური, ჩანგი), სიმებიანი-ხემებიანი (ჭუნირი-ჭიანური-ჭილილი), ჩასაბერი (უენო და ენიანი სალამური, ლარჭემი-სოინარი-ოსტინონი, ბუკი, ოყე, სანკერი, სტვირი, გუდასტვირი-ჭიბონი), დასარტყამი (დოლი, დაირა), კლავიშებიანი გარმონი (თუშური გარმონი, ნიკო-ნიკო, ბუზუკა). ასევე აღსანიშნავია საქ.-ში გვიან გავრცელებული და არაქართული მუს. სტილის შემდეგი საკრავები: აღმოსავლური (ზურნა, დუდუკი, თარი, საზი, ყავალი, დიპლიპიტო, სანთური), დასავლური (გიტარა, მანდოლინა, ბალალაიკა). ჩვენამდე მოღწეული ქართ. ტრადიციით მეტად იშვიათია ანსამბლში ორზე მეტი საკრავის ანსამბლი (ჭუნირი-ჩანგი, ჩონგური-დოლი, ფანდური-დოლი, ჭიბონი-დოლი, გარმონი-დოლი, გარმონი-დაირა, სალამური-ფანდური).

ქართ. ქალაქური სიმღერები ორი სტილური განმტკობითაა წარმოდგენილი: **ა)** აღმოსავლურ-ქართული, ძირითადად აშუალო ტრადიციით ნასაზრდოები, ხშირად ერთხმინი, სადაც დიდ როლს თამაშობს აღმოსავლური მუსიკისთვის დამახასიათებელი ორნამენტიკა და გადიდებული სეკუნდა; **ბ)** დასავლურ-ქართული, ევროპული მელოდიურ-პარმონიული სტილისა (იტალიური ოპერის, რუსული და ბოშური რომანსის, რუსული სალდათური სიმღერის, რუსული საეკლესიო გალობის, ევროპული ხალხური სიმღერების გავლენით ნასაზრდოები) და ქართული ხალხური ინტონაციის შერევით განპირობებული ჰიბრიდული სტილის სამხმინი სიმღერები, ხშირად - გიტარის თანხლებით.

დღეს **ქ.მ.ფ.** სოციალური პირობების ცვალებადობის გამო უნარული ტრანსფორმაციისა და უნიფიკაციის შუქცევად პროცესში იმყოფება. გაიშვიათდა ავთენტური - სოციალური დანიშნულებით განპირობებული და მისი ადეკვატური სტილური თვითმყოფადობით გამორჩეული შესრულება; ჩამოყალიბდა ერთგვარად გამსხვილებული სასცენო და საღალღობო, სტილურად ეკლექტიკური უნარები. **ქ.მ.ფ.** ამჟამად ძირითადად თბილისური და რეგიონული ანსამბლების სასცენო მოღვაწეობითაა წარმოდგენილი. **თ. გაბისონია**